

დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის
„თეთნულდი“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
ოქმი N2 , 02/11/2016წელი

სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 მაისის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ №80/ნ ბრძანებისა და პროფესიული განათლების მარეგულირებელი სხვა აქტების საფუძველზე.
2. ამ წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ პროფესიულ კოლეჯში „თეთნულდი“ (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოქმედების სფერო

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დაცვა და შესრულება ევალება ყველა თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს.

თავი II. სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. კოლეჯის დირექტორი პროფესიული ტესტირების დაწყებამდე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.
2. ცენტრი, ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 5 დღის ვადაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებ რანჟირების დოკუმენტს.
3. კოლეჯის დირექტორი, კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტების განაწილების მიზნით, აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების გათვალისწინებით ქმნის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ განსაზღვრული ფორმით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შესათანხმებლად წარუდგენს რანჟირების დოკუმენტს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა რანჟირების დოკუმენტის წარდგენიდან 5 დღის ვადაში ამოწმებს რანჟირების დოკუმენტის სისწორეს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ თანხმობის მიღების შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტი ვალდებულია დადგინდეს ვადაში კოლეჯში წარადგინოს ყველა სავალდებულო დოკუმენტი.
5. კოლეჯის დირექტორი ამ მუხლის 2-ე და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ.
6. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯი ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 4. პროფესიულ კოლეჯში მობილობის წესით ჩარიცხვა და აღიარების წესი

1. პროფესიულ კოლეჯში მობილობის წესით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ადმინისტრირებას აწარმოებს კოლეჯი ამ წესისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში.
3. მობილობის გამოცხადებასთან ერთად ვაკანტური ადგილები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. მობილობის მსურველის სტატუსის მოპოვებისათვის, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თხოვნით, მსურველი განცხადებით მიმართავს კოლეჯის ადმინისტრაციას.
5. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს.
6. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
7. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება, კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სპეციალური კომისიის მიერ.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კოლეჯში მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისა და განათლების აღიარების თაობაზე ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
10. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის #8/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების აღიარების პირობებისა და წესის“ და სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ „არაფორმალური განათლების აღიარების პირობებისა და წესის“ შესაბამისად.

მუხლი 5. შიდა მობილობა

1. პროფესიულ კოლეჯში შიდა მობილობის (ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა) უფლება პროფესიულ სტუდენტს გააჩნია, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 სასწავლო დღისა.
2. პროფესიულ კოლეჯში შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე თავისუფალი ადგილი.
3. შიდა მობილობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი კარგავს ვაუჩერულ დაფინანსებას.
4. შიდა მობილობის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს პროფესიული კოლეჯის დირექტორს.
5. პროფესიულ კოლეჯში შიდა მობილობა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი III. სასწავლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 6. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სასწავლო პროცესის მენეჯმენტზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე, რომელსაც კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყება/დამთავრება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრულის ტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულის სტემა,

შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისი სპეციფიკური კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლების ადაპროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეადგენს თეორიული მეცადინეობების, პრაქტიკული სამუშაოების და საგამოცდო პერიოდების ერთობლიობას, რომლის მოცულობა განისაზღვრება სასწავლო კვირით/აკადემიური საათით.

2. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
3. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
 - 3.1. საგნის დასახელება;
 - 3.2. პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი;
 - 3.3. ლექციის ჩატარების დრო;
 - 3.4. ლექციის ჩატარების ადგილი.
4. აკადემიური ჯგუფი შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისგან.
5. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს 4-6 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი – 50 წთ.), რომელთა შორის შესვენება 10 წუთია.
6. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება პროფესიული სტანდარტების საფუძველზე, რომელსაც ითანხმებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
7. სწავლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თავი IV. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, სტატუსის აღდგენა, სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:
 - 1.1. ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა;
 - 1.2. სამხედრო-სარეზერვო სამსახურში გაწვევა;
 - 1.3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;
 - 1.4. უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა;
 - 1.5. ფინანსური დავალიანება;
 - 1.6. სხვა საპატიო მიზეზი (მისგან დამოუკიდებელი).
2. პროფესიულმა სტუდენტმა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს პროფესიულ კოლეჯს (განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 150 აკადემიური საათი.
4. კოლეჯის შინაგანაწესის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან/და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციას.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ფორმდება.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - 1.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);
 - 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
 - 1.3. სწავლის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;

- 1.4. სასწავლო პერიოდში პროფესიული სტუდენტის აკადემიური ჩამორჩენილობა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა);
 - 1.5. მიმდინარე თვეში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი 30 და მეტი აკადემიური საათის დაგროვება;
 - 1.6. სტუდენტის მიერ ფინალური გამოცდის გაცდენა;
 - 1.7. კოლეჯის შინაგანაწესის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან/და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების უხეში დარღვევა;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის ან პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს.

თავი V. პროფესიული სტუდენტების უფლება-მოვალეობები

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
 - 1.1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - 1.2. ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
 - 1.3. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
 - 1.4. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
 - 1.5. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ;
 - 1.6. კოლეჯის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
 - 2.1. დაემორჩილოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილ მოთხოვნებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის ან სასწავლო პროცესის სხვა უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;
 - 2.2. მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;
 - 2.3. პატივი სცეს სხვა სტუდენტის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან რაიმე ქმედების იძულება;
 - 2.4. დაიცვას და პერიოდულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ კოლეჯის დირექტორის სამართლებრივ აქტებს;
 - 2.5. დროულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას მისამართის ან სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შესახებ;
 - 2.6. გაცდენის საპატიო საფუძვლის არსებობისას, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის (შემდეგ მისამართზე tetnuldin68@gmail.com) საშუალებით დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას და გამოცხადებისთანავე წარმოადგინოს გაცდენის საპატიო საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:
 - 3.1. ლექციის მიმდინარეობისას არასაპატიო მიზეზით აუდიტორიის დატოვება;
 - 3.2. ალკოჰოლური სასმელებისა დასაქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების პროფესიული კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;
 - 3.3. პროფესიული კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის ხელმძღვანელობასთან, სალექციო პერიოდში საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;
 - 3.4. დაწესებულების შენობაში თამბაქოს მოწევა;
 - 3.5. დაწესებულებაში არაფხიზელ მდგომარეობაში ან რაიმე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება.
4. პროფესიული სტუდენტის მიერ დაწესებულებაზე მიყენებული ზიანის გამო(რომლის ბრალითაც გამოწვეულია ზარალი) მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის მიერ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ვალდებულება

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას.
2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია იზრუნოს ორგანიზაციის პრესტიჟის დაცვაზე და საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისადმი ყურადღებრივ დამოკიდებულებაში.
3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაწესებულების და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიცავს სისუფთავე.
4. დაუშვებელია პროფესიული კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა.

თავი VI. შეფასების სისტემა და კვალიფიკაციის მინიჭება

მუხლი 13. შეფასების სისტემა

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.
2. პროფესიული სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება როგორც სწავლის პროცესში, ასევე, თეორიული კურსის დასრულების შემდეგ (დასკვნითი გამოცდა).
3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
- 3.1. **დადებით შეფასებად ჩაითვლება:**
 - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.
- 3.2. **უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:**
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება. ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღებიდან არანაკლებ 10 დღეში;
 - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
4. სემინარის/შუალედური შეფასებების რაოდენობა, ჩატარების პერიოდი და ფორმა განისაზღვრება ინდივიდუალურად, სასწავლო მოდულის (საგნის) სილაბუსის მიხედვით.
5. სემინარი ფასდება დასკვნით გამოცდამდე.
6. დასკვნითი გამოცდა ტარდება სასწავლო კურსის ბოლოს ზეპირი ან/და ტესტირების ან/და პრაქტიკული დავალების/დემონსტრირების/პრეზენტაციის სახით.
7. დადებითი შეფასებისთვის აუცილებელია, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის შეგეგად გადალახოს მაქსიმალური შეფასების 51%.
8. პროფესიულსტუდენტსუფლებააქვს, გავიდესდამატებითგამოცდაზეუარყოფითიშეფასებისმიღებისშემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
9. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი ფორმით:

პროფესიული სტუდენტის შეფასების სქემა		
N	შეფასების ფორმა	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა
1	შუალედური შეფასებები	30 ქულა
2	შუალედური შეფასებები	30 ქულა
2	დასკვნითი გამოცდა	40 ქულა

- 9.1. ტესტირება;
- 9.2. სამუშაოს შესრულებაზე დაკვირვება;
- 9.3. ანგარიში, პრაქტიკული სავარჯიშო;
- 9.4. დემონსტრირება;
- 9.5. ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები;
- 9.6. ზეპირი გამოკითხვა/გამოცდა;
- 9.7. პრეზენტაცია;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამები) შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით ან/და მოდულით.

10.1. სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მათ შორის ყველა სავალდებულო მოდულით დადგენილი კრედიტი, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან მინიმუმ 15 კრედიტი.

10.2. მოდულების ფარგლებში შეფასების მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

- ◆ მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად უნდა დადებითად შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული;
- ◆ მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი;
- ◆ მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისი ყველა კრიტერიუმი;
- ◆ შესაძლოა მოდულურ სწავლის შედეგის ერთად შეფასება;
- ◆ სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს, კანონით განსაზღვრული წესით, ეძლევა აღნიშნული სწავლის შედეგის დადასტურების უფლება.

10.3. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.

10.4. წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის დადასტურების შესაძლებლობა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით.

მუხლი

14.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი ანათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

14.1. საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც პროფესიული სტუდენტი სწავლობდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებამდე, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით კოლეჯი უზრუნველყოფს მიღევად რეჟიმში ან მობილობის პრინციპით ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ პროგრამაზე გადაყვანას, რომლის სწავლის შედეგები მინიმუმ 50%-ით ერთგვაროვანია. გადაწყვეტილება აღნიშნულ საგანმანათლებლო ძალაში შევა ზემოთ აღნიშნული სტუდენტებისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ან პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის შეწყვეტის შემდეგ.

14.2 პროფესიული სტანდარტის შეცვლის ან სხვა მიზეზით პროფესიული პროგრამის შემთხვევაში პროფესიული კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების წინასწარ ინფორმირებას პროგრამაში შესული ცვლილებების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ პროფესიული სტუდენტი სწავლას გააგრძელებს შეცვლილი/მოდიფიცირებული არჩეული საგანმანათლებლო პროგრამით

მუხლი 15. კვალიფიკაციის მინიჭება

15.1. პროფესიული კვალიფიკაცია არის პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით.

15.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს, პროფესიულ სტუდენტს (პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ მოდულში/საგანში რეიტინგის 51% დამეტი შეფასების დაგროვების შემთხვევაში) კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია.

მუხლი 16. პროფესიული დიპლომი

კვალიფიკაციას ადასტურებს პროფესიული კოლეჯის დირექტორის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი.

თავი VII. პროფესიული განათლების მასწავლებელი

სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“

მუხლი 17. პროფესიული განათლების მასწავლებელი

პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

მუხლი 18. პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები

18.1 პროფესიული განათლების მასწავლებელმა აუცილებელია სათანადოდ დაიცვას:

- 1.1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- 1.2. პროფესიული კოლეჯის შინაგანაწესი;
- 1.3. მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობები;
- 1.4. ეთიკის ნორმები;
- 1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:
 - 2.1. საკუთარი ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მომლის შემთხვევაში, პროფესიული კოლეჯის გადაწყვეტილებით, გააგრძელოს მუშაობა პროფესიული კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დრომდე ან დაწყებული სასწავლო პროგრამის დასრულებამდე;
 - 2.2. ლექციის დაწყებამდე დააფიქსიროს ხელმოწერა საათობრივი აღრიცხვის ტაბელის ყოველდღიურ ჟურნალში;
 - 2.3. ლექციის პერიოდში გააკონტროლოს და ზედამხედველობა გაუწიოს პროფესიული სტუდენტის ქმედებებს და ნებისმიერი უწყსრიგობის შემთხვევაში ოპერატიულად აცნობოს პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციას;
 - 2.4. მიიღოს ყველა გონივრული და სამართლებრივი ზომა, რათა აუდიტორიაში (კლასში, ჯგუფში) სასწავლო პროცესზე პროფესიული კოლეჯის ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე არ დაუშვას სხვა არაუფლებამოსილი პირი;
 - 2.5. არ დაუშვას პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის პოლიტიზირება;
 - 2.6. პროფესიული კოლეჯის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით, პროგრამების მენეჯერთან/სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, აწარმოოს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის გამოყენება;
 - 2.7. აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა დასწრება/მოსწრების ჟურნალი;
 - 2.8. მიიღოს ყველაგონივრული ზომა პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია სტუდენტის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;
 - 2.9. მზრუნველობით მოეპყროს პროფესიული კოლეჯის ქონებას და მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად;
 - 2.10. არ დაუშვას ლექციის გაცდენა/ჩაშლა;
 - 2.11. პროფესიულ კოლეჯზე მიყენებული ზიანის შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
 - 2.12. საკუთარი ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტამდე არაუგვიანეს 30 დღისაწერილობითი ფორმით აცნობოს პროფესიული კოლეჯის ადმინისტრაციას. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, პროფესიულ კოლეჯს ჯარიმის სახით გადაუხადოს 3000 ლარი.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს:
 - 3.1. მოთხოვოს დამსაქმებელს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;
 - 3.2. დროულად მიიღოს შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი შრომითი ანაზღაურება.

თავი VIII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 19. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცება

1. პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს ბრძანებით ამტკიცებს პროფესიული კოლეჯის დირექტორი.
2. პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 20. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ძალაში შესვლა

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით მისი პროფესიულ კოლეჯში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ღიად განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 21. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესრულებაზე კონტროლი

დასაქმებულთა მიერ შრომის შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს კოლეჯის დირექტორის

მოდელი, რომელიც ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე